გიორგი ღაძაძე

ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ბიზნესის სკოლა
სოპოტის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი,
პოლონეთი

„2026 წლის გაზაფხულის სემესტრი Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სოპოტის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში გავატარე. ჩემთვის ეს იყო შესაძლებლობა, საკუთარი თავი განსხვავებულ აკადემიურ გარემოში გამომეცადა და ახალი პერსპექტივით შემეხედა საკუთარი ინტერესებისა და მიზნებისთვის.

განსაკუთრებით ღირებული იყო საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობა და ერთმანეთის კულტურის გაცნობა. მიხაროდა, რომ კომუნიკაციისას მეც შევძელი მათთვის საქართველოს ტრადიციებისა და კულტურის გაზიარება და სურვილის გაღვივება, მოენახულებინათ ჩემი ქვეყანა.

სემესტრის განმავლობაში ბიზნესისა და ეკონომიკის საგნებთან ერთად გერმანულ ენასაც ვსწავლობდი, რამაც გაცვლითი პროგრამის გამოცდილება სრულყოფილი გახადა და ადგილობრივ გარემოში უკეთ ინტეგრაციის საშუალება მომცა.

ამ პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტის განვითარებაში საკუთარი წვლილიც შევიტანე. პროქეტის „Your Opinion Changes SANS“ გამარჯვებულთა შორის მოვხვდი და ჩემი ინიციატივა უნივერსიტეტის სამომავლო გეგმებში აისახა.

უცხო ქვეყანაში ცხოვრებამ კი მეტი დამოუკიდებლობისა და ახალ გარემოსთან ადაპტაციის გამოცდილება შემძინა. მადლობელი ვარ კავკასიის უნივერსიტეტის ამ შესაძლებლობისთვის, ვინაიდან სოპოტში გატარებულმა სემესტრმა ჩემს პიროვნულ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.“